პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 194

2019წ. "17" 09

ქ.თბილისი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს (ს/კ:211349192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/ საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გრაფიკული დიზაინის შესრულება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში 0211	90	120	ქართული	30	ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68, I კორპუსი

2	ხის მხატვრული დამუშავება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	89	104	ქართული	30	ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68, I კორპუსი
3	სარკინიგზო გადაზიდვები (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 1041	90	120	ქართული	30	ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68, I კორპუსი
4	საბაჟო საქმე (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში 1032	93	123	ქართული	30	ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68, I კორპუსი; მ. კოსტავას ქ. №71

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

2. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1624-ით.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №16 სხდომის ოქმის მეთორმეტე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან.
5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე